

## თამარ სუხიშვილი

### უცხო ენიდან შემოსული ერთი ხელობის სახელის შესახებ ქართულში

„კაცი ტბაზე თევზაობს. ამ დროს თავზე **რეინჯერები** დაადგებიან და ეუბნებიან:

– უნდა დაგაკავოთ!

– რათა, კაცო?

– აქ თევზაობა აკრძალულია!

– ჩემს დაჭერილ თევზს სადმე ხედავთ?

– არა...

– აბა, მაშინ ჩემს ჭიკაყელას სად ვაბანავებ, რა თქვენი საქმეა!“  
[ახ. თაობა 2016].

ამ ანეკდოტის შინაარსის მიხედვით, ძნელი არაა იმის გამოცნობა, თუ ვინ არიან რეინჯერები – ბუნების მცველები, კერძოდ კი, ის პირები, რომელთა ფუნქციას დაცული ტერიტორიების (ნაკრძალის, ლანდშაფტის, აკვატორიის...) კონტროლი და მათი დაცვა წარმოადგენს. მაგრამ აქვე ჩნდება კითხვაც, რატომ **რეინჯერი** და არა ქართული ენისთვის უფრო ბუნებრივი **მეტყვე** ან **ტყისმცველი**? რა საფუძველი უდევს უცხოენოვანი ტერმინით ქართული წარმოშობის ხელობის სახელის ჩანაცვლებას და რამდენად გამართლებულია ასეთი ჩანაცვლება ენობრივად? აკმაყოფილებს თუ არა ქართულში ახლად შემოსული ნასესხები „რეინჯერი“ ტერმინის სესხების პირობებს?

ხელობის სახელები (რომლებიც ქართულ ენაში ასევე მოსაქმეობის, პროფესიის სახელებად იწოდება) ქართულში რამდენიმე სხვადასხვა წარმოებით გადმოიცემა: გვაქვს ხელობის აფიქსებით (*მე- -ე, მე- -ურ, მე- -ულ, მო- -ე, -ელ*) ნაწარმოები ფორმები, მიმღეობითა და აღწერითი წარმოებით გადმოცემული ხელობის სახელები... ცალკე ჯგუფს ქმნის ქართულში უცხო ენებიდან ნასესხები სიტყვები, რომლებიც თავისი სემანტიკით მიუთითებენ ამა თუ იმ საქმიანობაზე, პროფესიაზე (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) [შანიძე 1973: 135, ღამბაშიძე 1984: 187-188]. პროფესიის აღმნიშვნელ სა-

ხელთა უცხო ენებიდან სესხებას ქართულ ენაში დიდი ხნის ისტორია აქვს; სესხების პროცესი დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. ახალი დარგების, პროფესიების, ინსტიტუციებისა და ა. შ. გაჩენასთან ერთად ენაში ჩნდება ახალი პროფესიული ტერმინებიც, რომელთა ერთი ნაწილი უცხო ენებიდან შემოდის. ბოლო ხანებში ქართულში ძირითადად ინგლისურიდან ნასესხობები ჭარბობს. რიგ შემთხვევებში გამსესხებელი ენიდან (ინგლისური) მსესხებელ ენაში (ქართული) ე. წ. ინტერნაციონალიზმების შემოსვლის პროცესი ქაოსურად მიმდინარეობს – მსესხებელი ენის ტერმინოლოგიური ბაზისა და ტერმინის ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე, რაც, ბუნებრივია, ენაში გარკვეულ პრობლემებს ქმნის. ერთ-ერთ ასეთ პრობლემად შეიძლება ერთი და იმავე ტერმინის ხელმოკრედ, სხვა მნიშვნელობით სესხება ჩაითვალოს. ქვემოთ სწორედ ერთ ასეთ შემთხვევას განვიხილავთ ქართულ ენაში შემოტანილი ინგლისური „რეინჯერის“ მაგალითზე.

გადავხედოთ ქართულ ენაში ტერმინ „რეინჯერის“ შემოსვლის ისტორიას. მართალია, ტერმინი „რეინჯერი“ (ტყის მცველი, ტყის დაცვის მუშაკი) დაფიქსირებულია 1968 წელს გამოცემულ სატყეო-ტექნოლოგიურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონში [სატყეო-ტექნიკ. ტერმ. 1968], მაგრამ სამეცნიერო, ოფიციალურ თუ სასაუბრო ენაში ეს ტერმინი 21-ე საუკუნის დასაწყისამდე არ გამოიყენება. ქართულში გვაქვს **კონფიქსური წარმოების ხელობის სახელი მე-ტყე-(გ)-ე** და **მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტი ტყის-მცველ-ი**. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეტყევე და ტყისმცველი არ ფარავს ერთმანეთს, მათი მნიშვნელობები დიფერენცირებულია (ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით).

ქართული პროფესიული ტერმინის ნასესხები პროფესიული ტერმინით ჩანაცვლება კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ რეფორმას უკავშირდება: კერძოდ, 2007 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო რეფორმის ფარგლებში შეტანილ იქნა გარკვეული ცვლილებები ინსტიტუციურ სახელწოდებებში. სწორედ მაშინ შევიდა ოფიციალურ დოკუმენტაციაში ასეთი ტერმინოლოგიური ცვლილება:

*„სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს ეწოდა „სატყეო დეპარტამენტი“, შეიცვალა მისი სტრუქტურა...სატყეო სამმართველოს რიგითი თანამშრომლის – რეინჯერის (მეტყევეს ეწოდა რეინჯერი)*

ხელფასი გახდა დაახლოებით 400 ლარი. თითოეული რეინჯერის სამოქმედო არეალმა შეადგინა დაახლოებით 4,5-5 ათასი ჰექტარი (**რეინჯერს** დავალა, ამ ფართობზე უზრუნველყოს უკანონო ტყითსარგებლობის აღკვეთა, სანებართვო დოკუმენტაციის გაცემა...“ [მწვანე ალტერნატივა 2012: 6].

აქედან მოყოლებული ტერმინი **რეინჯერი**, ასე ვთქვათ, უკვე „კანონიერად“ მკვიდრდება ოფიციალურ დოკუმენტაციაში და, შესაბამისად, ოფიციალურ ენაში: ის კონკრეტული თანამდებობის აღმნიშვნელი სახელწოდებაა; ამ თანამდებობაზე მყოფი პირის მოვალეობაში შედის ტყისა და სხვა დასაცავი ტერიტორიის დაცვა:

„თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მარტყოფის უბანში ამავე ადმინისტრაციის რეინჯერების მიერ... გამოვლენილ იქნა ხეტყის უკანონო მოპოვების ფაქტები“, და ა. შ. [დაც. ტერ.].

**რეინჯერ**-ისგან დანიშნულების სახელთა აფიქსებით ნაწარმოებია **სა-რეინჯერ-ო (რეინჯერთათვის განკუთვნილი): სა-რეინჯერ-ო თავშესაფარი, სა-რეინჯერ-ო სამსახური** და სხვ. [დაც. ტერ.]

ე. წ. ოფიციალური სტატუსის მიღების შემდეგ **რეინჯერ-ი**, როგორც პროფესიის (და თანამდებობის) აღმნიშვნელი ტერმინი, უკვე ფართოდ გამოიყენება დარგობრივ ლიტერატურაში:

„საველე ცნობარი განკუთვნილია ლავოდების, ვაშლოვანის, თუშეთისა და ბაწარა-ბაზანეურის დაცული ტერიტორიების **რეინჯერებისთვის (მცველებისთვის)**, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისთვის საველე მონაცემების შეგროვების პროცესში“ [ნაკრესი 2007: 17].

ნიშანდობლივია, რომ ამავე ორგანიზაციის მიერ ერთი წლით ადრე – 2006 წელს გამოცემულ ნაშრომში არსად არ არის ნახსენები ტერმინი **რეინჯერი**. ამ პროფესიას (და, შესაბამისად, თანამდებობას) ყველგან **ტყისმცველი** აღნიშნავს:

„ბორჯომის სატყეო მეურნეობა 8 სატყეო უბანს მოიცავს. ამჟამად მეურნეობას 25 **ტყისმცველი** ჰყავს, რაც, დირექტორის აზრით, მნიშვნელოვნად ნაკლებია **მცველთა** საჭირო რაოდენობაზე“ [ნაკრესი 2006: 20].

საგულისხმოა, რომ საწყის ეტაპზე (2007 წელს გამოშვებულ დოკუმენტში) ტერმინი „რეინჯერი“ თვით დარგობრივ სფეროშიც კი განმარტებას მოითხოვს: **რეინჯერი – მცველი** (იხ. ზემოთ).

ინგლისური პროფესიის სახელი **ranger** მომდინარეობს პოლი-

სემიური ზმნიდან **to range** (გამწკრივება, დაჯგუფება, მოწესრიგება; ხეტიალი, მოგზაურობა, დიდი მანძილის დაფარვა) პროფესიის აღმნიშვნელი **-er** სუფიქსის დართვით. ტერმინი საშუალო ინგლისურში ჩნდება. თანამედროვე ინგლისურ ენაში პოლისემიური ranger ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს უკავშირდება: სამოქალაქო-სა (ტყის/ დაცული ტერიტორიების დამცველი) თუ სამხედროს (სამხედრო რეინჯერი):

ინგლ. **ranger** 1. (ამერ.) ტყის მცველი, 2. (ამერ.) ცხენოსანი პოლიციის კავალერია, 3. (ამერ.) სადესანტო დივერსიული რაზმი, 4. (დიდი ბრიტ.) სამეფო პარკის ზედამხედველი [ჰორნბი 1982].

სიტყვის პოლისემიურობიდან გამომდინარე, ხშირად ინგლისურ ენაში „რეინჯერი“ მსაზღვრელთან ერთად იხმარება. სწორედ ეს მსაზღვრელი მიგვანიშნებს, თუ რომელი სამუშაო სფეროს წარმომადგენელი **რეინჯერი** იგულისხმება სათანადო კონტექსტში: **forest/national park ranger – ტყის/ეროვნული პარკის რეინჯერი, army ranger – სამხედრო რეინჯერი.**

ქართულ ენაში ინგლისური **ranger**-ის (**ტყის/ეროვნული პარკის მცველის**) შესატყვისად გვაქვს შერწყმული კომპოზიტი (მართული მსაზღვრელი + მიმღეობა) **ტყის-მცველ-ი** და ხელობის აფიქსებით ნაწარმოები **მე-ტყე-(ვ)-ე**.

**ტყისმცველ-ი** (ტყისმცველისა) – საგანგებო პირი, რომელიც ტყეს იცავს, – მეტყევე. მთელ რიგ შემთხვევებში უნებართვო ჭრა წარმოებს ზოგიერთი უპასუხისმგებლო ტყისმცველის მფარველობით [ქეგლი VI: 1960].

*ხოლო ტყისმცველი ნაღვლიანად ასცქერის ბუხარს (ლ. ბოჩკოვა, ლექსების ერთი ციკლის გამო, განთიადი, 1976)* [ქართული ენის კორპუსი].

**მეტყევე** (მეტყევისა) = ტყის საქმის მცოდნე, მეტყევეობის სპეციალისტი.

(მდრ.: მეტყევეობა – 1. ტყის მოვლა-გაშენება და ექსპლოატაცია. 2. მეტყევის საქმიანობა, მეტყევედ ყოფნა...) [ქეგლი V: 1958].

*სტუმარი ვერ მიმხვდარიყო მასპინძლის შეჭირვებას და რაც შეეძლო ლამაზად აღწერდა, როგორ ჩეხავდა შვეტ ხეებს მეტყევის ფარულად. (უ. რიჟინაშვილი, შაქრო, ცისკარი, 1986)* [ქართული ენის კორპუსი].

რიგ შემთხვევებში **ტყისმცველი** და **მეტყევე** სინონიმებად

გვევლინება; ზოგჯერ მეტყვევ **ტყისმჭრელის** ანტონიმი და **ტყის-მცველის** სინონიმი:

*შემოგვესვიან მონადირეები, ტყისმჭრელები და ნულა მომას-ვენებ მერე. მომახვიე მეტყვევები. დაუნიშნე მერე იმათ ხელფასი... [გ. ჩოხელი].*

უნდა აღინიშნოს, რომ **მეტყვევ ტყისმცველის** სინონიმი, მაგრამ არა – პირიქით (იხ. ქეგლის განმარტებები). ამას *მე- – ე* თავსართ-ბოლოსართის თავისებურება უნდა განაპირობებდეს: *მე- – ე* კონფიქსი მხოლოდ ხელობის მაწარმოებელი როდია – *მე- ე* მაწარმოებლიან სიტყვათათვის საერთო ისაა, რომ „თითოეული მათგანი აღნიშნავს ისეთ პირს, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია იმ საგანთან, რომელსაც ამ სიტყვის ფუძე წარმოადგენს. „ხელობა“ აქ მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლებელი მნიშვნელობათაგანია... *მე- – ე* წარმოების სიტყვათაგან ბევრია ისეთი, რომელიც მომვლელს, მცველს („მნეს“) აღნიშნავს“ [ფოჩხუა 1966: 110-111].

ასე რომ, ერთი მხრივ, შეიძლება გვექონდეს **მე-ტყე-ვ(გ)-ე (ტყის დამცველი, ტყისმცველი)**, ისევე როგორც **მე-ველ-ე (სახნავ-სათესი მინდვრისა და ზად-ვენახის დამცველი)** და, მეორე მხრივ, **მე-ტყე-ვ(გ)-ე (ტყის სპეციალისტი)**; მაგრამ არ გვაქვს **ტყისმცველი** ტყის სპეციალისტის მნიშვნელობით.

**მეტყვევსა** და **ტყისმცველს** შორის ფუნქციები ასეა გადანაწილებული: **მეტყვევ** – ტყის სპეციალისტი, ტყის შემსწავლელი; **ტყის-მცველი** – ტყის დამცველი.

**ტყისმცველის** მართლწერა (უკვე 1968 წლის ორთოგრაფიულ ლექსიკონში ის შერწყმულად იწერება) [ორთ. ლექს. 1968; 1998] კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ამ ტერმინმა ენაში გარკვეული გზა განვლო: **მართულმსაზღვრელიანი შესიტყვებიდან** (ტყის მცველი) **მართულმსაზღვრელიან შერწყმულ კომპოზიტამდე** (ტყისმცველი), ერთგნებიანი გახდა და ტერმინად იქცა: **ტყის მცველი > ტყისმცველი**. ქართულ ენაში **ტყისმცველს** უკვე თავისი ისტორია აქვს.

ორივე ხელობის სახელს (ტყისმცველი, მეტყვევ) ნათელი მოტივაცია აქვს და ქართულ ენაში პროფესიის სახელთა წარმოების წესების მიხედვით არის აგებული. მათი ნასესხები ტერმინით ჩანაცვლების საჭიროება ენაში არ დგას.

როგორც წესი, ტერმინების შემუშავების პროცესში „უცხო ენებიდან სესხება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ

უცხო სიტყვის ზუსტი ეკვივალენტი (შესაბამისი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა) არც ამჟამად მოგვეპოვება და არც ისტორიულადაა დადასტურებული ქართულში“ [დამბაშიძე 1972: 20], მაგრამ – როცა უკვე არსებობს ქართული ორიგინალური ტერმინი **ტყის დამცველის, ტყეზე მზრუნველის** ცნების აღსანიშნავად, რომელიც ყოველმხრივ აკმაყოფილებს პროფესიული ტერმინის არსებობის კრიტერიუმებს, ენაში ახალი ნასესხები ტერმინის შემოღების არანაირი საჭიროება არ არის, შესაბამისად, აღნიშნული ტერმინი – **რეინჯერი (ტყისმცველის მნიშვნელობით)**, მართლაც, ხელოვნურად ჩანს შემოტანილი.

**რეინჯერ**- ტერმინის გამოყენებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი პრობლემა იჩენს თავს: **რეინჯერი** უკვე არსებობს **ქართულ სამხედრო ტერმინოლოგიაში** [იხ. სამხ. ტერმ. 1987] და მისი შემოტანა სხვა დარგის (გარემოსდაცვით) ლექსიკაში განსხვავებული მნიშვნელობით, რა თქმა უნდა, არ ესადაგება სესხების პრინციპებს. არსებულ ვითარებაში „რეინჯერი“ უკვე აღარ აკმაყოფილებს ტერმინის არსებობისათვის მნიშვნელოვან კრიტერიუმს – მონოსემიურობას: „ლოგიკურად მიმართება ცალკეულ ცნებასა და ტერმინს შორის ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ყოველ ერთ ცნებას ერთი ტერმინი უნდა შესაბამებოდეს. აქედან გამომდინარეობს ტერმინის ძირითადი ნიშანთვისება – ერთმნიშვნელობიანობა, ანუ – მონოსემიურობა“ [დამბაშიძე 1986: 21]. ნასესხები „რეინჯერის“ კიდევ ერთი ახალი მნიშვნელობით შემოტანა ენაში არღვევს პროფესიული ტერმინისათვის აუცილებელ მონოსემიურობის პრინციპს (ერთი ნიშანი = ერთი ცნება) და ომონიმებს აჩენს.

ზოგადად, შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე ტერმინი სხვადასხვა დარგში გამოიყენებოდეს და, შესაბამისად, თითოეულ დარგში თავისი სპეციფიკური მნიშვნელობა ჰქონდეს; ასეთი შემთხვევები გვაქვს კიდევ, მაგრამ ხელობის სახელებთან მიმართებით ეს მიდგომა არ გამოდგება, ვინაიდან ისინი (ხელობის სახელები) არ არის მხოლოდ ერთი ვიწრო სპეციალიზებული სფეროს საკუთრება; სხვა ტერმინებისაგან განსხვავებით, პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინები ფართოდ გამოიყენება სასაუბრო ენაში.

დღეისათვის გვაქვს, ერთი მხრივ, **რეინჯერი (გარემოსდაცვითი მოხელე)**, რომელიც არცთუ დიდი ხანია, რაც გამოიყენება საქმიანი ქაღალდების, პრესის, ტელევიზიისა თუ ინტერნეტის ენაში და,

მეორე მხრივ, **რეინჯერი (სამხედრო პირი)**, რომელსაც საერთო-სახალხო ენაში არსებობის უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს. ის ინგლისურიდან შემოვიდა ქართულ სამხედრო ტერმინოლოგიაში (ქართულ სამხედრო ტერმინოლოგიაში ძირითადად ნასესხობები სჭარბობს): **რეინჯერი** [ინგლ. *ranger* *სადესანტო სადივერსიო ქვედანაყოფის ჯარისკაცი*] – ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში, კომანდოსის ბატალიონის **სამხედრო მოსამსახურე** [მოხელის ლექსიკონი]; **რეინჯერი** – კომანდოსის ამერიკული საზოგადოება; **სამხედრო ქვედანაყოფის მებრძოლი** [უცხო სიტყვათა ლექსიკონი 2015].

სამხედრო ტერმინოლოგიიდან „რეინჯერი“ საერთო-სახალხო ენაშიც შემოსულია:

„ბოლივიელებთან ერთად ჩე გევარას რაზმის განადგურებაში მონაწილეობდნენ **ამერიკელი რეინჯერები**“ (გ. ფანჯ. ლიტ., საქ, 1975) [ქეგლის ფონდი].

ომონიმა: **რეინჯერი (შეიარაღებული სამხედრო პირი) – რეინჯერი (ტყისმცველი)**, – ტერმინის სიზუსტის ხელისშემშლელი პირობაა (მაგ., წინადადებაში: *საიდანაც რეინჯერი გამოჩნდა*, არ ჩანს, ვინ იგულისხმება: *სამხედრო პირი თუ ტყისმცველი*), ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ რიგ შემთხვევებში აღნიშნული ტერმინი მარკირებულია, როგორც ჩანს, სწორედ ამ ომონიმიის თავიდან ასაცილებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ ელექტრონულ გამოცემებში დამებნილი ილუსტრაციების ერთ ნაწილში **მარკირებულია რეინჯერი – ტყისმცველი** (მას ახლავს მსაზღვრელი), მაგრამ **არ არის მარკირებული რეინჯერი – სამხედრო პირი**:

*საგამოძიებო სამსახურმა ქრთამის ალების ფაქტზე მარიამ-ჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის რეინჯერი... დააკავა* [ინტერპრესი 2014].

*ვაკანსია. თანამდებობის დასახელება: თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის რეინჯერი (ჩალმისუბანი) და სხვ. [დაც. ტერ.]*.

*ინფორმაცია ფილმზე: დასახელება ქართულად: მარტოხელა რეინჯერი. ორიგინალი დასახელება: The Lone Ranger. წელი: 2013. რეინჯერების ჯგუფი დაედევნა კრიმინალურ ბანდას... [ვილმ.]*.

*რეინჯერის კურსის მოსამზადებელ ეტაპზე მიიღებიან ნასამართლეობის არმქონე 19-დან 30 წლამდე სამოქალაქო პირები... რე-*

*ინჯერთა კურსი ორი სახისაა – ორთვიანი, რომელიც ამერიკული რეინჯერების მომზადების ანალოგიურია და ექვსთვიანი. აღნიშნული პირები სურვილის შესაბამისად ... შეიარაღებულ ძალებში რეინჯერის კურსის მოსამზადებელ ეტაპზე ჩაირიცხებიან [თავდ. სამ].*

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მოცემულ კონტექსტებში სწორედ ენაში ახლად შემოსული რეინჯერი – ტყისმცველია მარკირებული; რეინჯერი – სამხედრო პირი ბუნდოვანებას არ ქმნის, რადგან ქართულში ტერმინი რეინჯერი, პირველ რიგში, შეიარაღებული პირის ასოციაციას აღძრავს. ნიშანდობლივი ჩანს ქვემოთ მოყვანილი მაგალითი ერთ-ერთი საგაზეთო ინტერვიუდან, რომელშიც არამარკირებული „რეინჯერის“ გამოყენება შინაარსის გაბუნდოვანებას იწვევს. ამას ემატება მოცემულ კონტექსტში ე. წ. მილიტარისტული სემანტიკის სიტყვათა გამოყენება და, საბოლოო ჯამში, მკითხველისთვის გაუგებარია, ვინ იგულისხმება ტექსტში: **სამხედრო პირი თუ გარემოს დამცველი:**

– დაცულ ტერიტორიებს რეინჯერები იცავენ. წინა კვირაში ამბობდით, რომ ეს ადამიანები რეალურად ზონდერები იყვნენ.

– რაც შეეხება რეინჯერების ზონდერობას, ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები გაქვთ?

– მათ ზონდერობაზე მაქვს ზუსტი ინფორმაცია. ეს ხალხი ატარებს იარაღს, მათ აქვთ ადამიანების დაკავების უფლება [ახ. თაობა 2013].

ყურადღება კიდევ ერთ დეტალზე გვინდა გავამახვილოთ. მიუხედავად იმისა, რომ რეინჯერმა ოფიციალურ დოკუმენტაციაში მთლიანად ჩაანაცვლა ტყისმცველი/მეტყვევე (ამას ხელი შეუწყო ასევე ოფიციალური თანამდებობის – პარკის/დაცული ტერიტორიის რეინჯერის შემოღებამ), სასაუბრო ენა და მხატვრული ლიტერატურის ენა მაინც ორიგინალური წარმოშობის, გამჭვირვალე მოტივაციის მქონე პროფესიის სახელს ანიჭებს უპირატესობას, სახელს, რომელსაც ენაში თავისი ისტორია აქვს<sup>2</sup>. ამასთან, რეინჯერი მაინც უფ-

---

<sup>2</sup>დარგის სპეციალისტებთან საუბარში გავარკვეეთ, რომ ტერმინ „ტყისმცველის“ „რეინჯერით“ ჩანაცვლების ერთი მიზეზი შეიძლება სწორედ მისი გამჭვირვალე მოტივაციაც გამხდარიყო: ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ ამ მოტივაციის გამო დაიწუნეს „ტყისმცველი“; არგუმენტი კი ასეთი იყო: ისე ჩანს, თითქოს ტყისმცველის ფუნქციაში მხოლოდ ტყის დაცვა მოიაზრება და არა, მაგალითად, ველის, ან



რო იარაღსხმულ ადამიანთან, სამხედროსთან, ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომელთან ასოცირდება და არა ბუნებისმოყვარულ ტყის დამცველთან (ვინაიდან თავდაპირველად სწორედ ამ მნიშვნელობით შემოვიდა ქართულ ტერმინოლოგიაში და, შესაბამისად, ენაშიც):

„როცა თავზე დავადექი, ბაწარას ტყისმცველი საარყე ქვაბს ჩაჰკირკიტებდა, მიწაზეც საარყე ვაშლი დაეხვავებინა“ [კვ. პალიტრა 2013].

„ფილემონს არ უნდა ვინმემ დაინახოს, მეტყველებს კი არ უნდა მოჰკრან თვალი“ [ფრიში 2010: 397].

„რა დასანანია, რომ ფილემონი ვერაფერ ამას ვერ ხედავს, იგი მეტყველებს უფროხის“ [ფრიში 2010: 398].

როგორც ზემოთ ვნახეთ, ტერმინი „რეინჯერი“ პოლისემიურია იმ ენაში, რომლიდანაც ისესხეს – ინგლისურში. მსესხებელი ენა (ქართული) სესხულობს ამ ტერმინს ჯერ ერთი მნიშვნელობით (სამხედრო პირი) და შემდეგ სესხულობს ხელმეორედ მეორე მნიშვნელობით (გარემოსდამცველი პირი). გამოდის, რომ მსესხებელ ენაში ვიღებთ პოლისემიისგან მიღებულ ომონიმებს, რომელთაც ს. ულმანი „სემანტიკურ ომონიმებს“ უწოდებს [დამოწმებულია: დამბაშიძე 1986: 31]. ქართულში „რეინჯერის“ სემანტიკური ომონიმის მიზეზი ინგლისური პოლისემიური სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობებად დაშლა და ამ მნიშვნელობების ენაში შემოსვლაა დროის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა პროფესიების აღმნიშვნელი ორი სხვადასხვა ტერმინის სახით.

აქვე ყურადღებას იქცევს ინგლისური ranger-ის სემანტიკური

---

ნებისმიერი იმ ტერიტორიის, რომელიც ტყის საფარით არაა დაფარული. ამიტომ როცა დაცული ტერიტორიების თანამშრომლის ადმინისტრაციული თანამდებობის საჭიროება გაჩნდა, გარკვეული გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, მეტყვევც და ტყისმცველიც დაწუნებულ იქნა და ნასესხები ტერმინი „რეინჯერი“ შეირჩა, რომელშიც მოტივაცია საერთოდ არ ჩანს. რა თქმა უნდა, ამ არგუმენტს არა აქვს ლინგვისტიკური საფუძველი (შდრ.: „კბილის ექიმი“, რომელიც მთელი პირის ღრუს, და არა მარტო კბილის, მკურნალა). ტერმინის მოტივაცია არ ნიშნავს მასში ტერმინის მთელი შინაარსის ჩადებას: „ტყისმცველის“ გააზრება ნებისმიერი დასაცავი ტერიტორიის და, საერთოდ, ბუნების მცველად სრულიად ბუნებრივია.

მოტივაციის საკითხიც: გამსესხებელ ენაში (ინგლისური) ტერმინის მნიშვნელობათა ჰომოგენურობა გამჭვირვალეა, მსესხებელ ენაში (ქართული) კი – არა. ამიტომ ერთმანეთის პარალელურად ორი ნა-სესხები ომონიმური პროფესიული ტერმინის არსებობა (**რეინჯერი – სამხედრო, რეინჯერი – ტყისმცველი**) მხოლოდ და მხოლოდ დამაბნეველია და არ არის მიზანშეწონილი.

მოცემულ შემთხვევაში სემანტიკური ომონიმის გაჩენა არსებული ტერმინოლოგიური ბაზის გაუთვალისწინებლობითაა გამოწვეული. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ტერმინის არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობის – ერთგნებთანობის რღვევა განსაკუთრებულ პრობლემებს ქმნის პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინების შემთხვევაში, ვინაიდან პროფესიული ტერმინების გამოყენების არეალი სცილდება ვიწრო დარგობრივი ტერმინოლოგიის ფარგლებს და ასეთ სიტუაციაში ტერმინის მნიშვნელობის კონტექსტის მიხედვით ცვალებადობის აღბათობა უფრო დიდია.

## ლიტერატურა

**ორთ. ლექს. 1968** – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

**ორთ. ლექს. 1998** – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, (მეორე შევსებული გამოცემა), თბილისი.

**სამხ. ტერმ. 1987** – სამხედრო ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული), შემდგ. ივ. შაიშმელაშვილი, თბილისი.

**სატყეო-ტექნიკ. ტერმ. 1968** – სატყეო-ტექნიკური ტერმინოლოგია, შემდგ. დოც. რ. ახვლედიანი, თბილისი.

**უცხო სიტყვათა ლექსიკონი 2015** – ს. თეზელიშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი.

**ფოჩხუა 1966** – ბ. ფოჩხუა, სიტყვაწარმოება და ლექსიკოლოგია, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XV, თბილისი.

**ქეგლი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

**ქეგლის ფონდი** – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერე-

ბის ინსტიტუტის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ფონდი.

**ღამბაშიძე 1972** – რ. ღამბაშიძე, ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბილისი.

**ღამბაშიძე 1984** – რ. ღამბაშიძე, პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინთა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბილისი.

**ღამბაშიძე 1986** – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი.

**შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

**ჰორნბი 1982** – A.S. Hornby, Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English, in two volumes, V,II, Oxford.

## წყაროები

**ახ. თაობა 2016** – გაზეთი „ახალი თაობა“, 22.02.2016, გვ. 12.

**ახ. თაობა 2013** – გაზეთი „ახალი თაობა“, 17.02.2013, [www.opentext.ge](http://www.opentext.ge)

**დაც. ტერ.** – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი [www.apa.gov.ge](http://www.apa.gov.ge)

**თავდ. სამ.** – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი [www.main.mod.gov.ge](http://www.main.mod.gov.ge), 27.09.2012

**ინტერპრესი 2014** – სააგენტო „ინტერპრესი“, 10.03.2014, [www.interpress.ge](http://www.interpress.ge)

**კვ. პალიტრა 2013** – გაზეთი „კვირის პალიტრა“, ანგელოზის ტყის საიდუმლო, 08.04.2013, [www.opentext.ge](http://www.opentext.ge)

**მოხელის ლექსიკონი** – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ლექსიკონები, მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)

**მწვანე ალტერნატივა 2012** – მწვანე ალტერნატივა, ტყის მართვა საქართველოში: პრობლემები და გამოწვევები, თბილისი.

**ნაკრესი 2006** – სახეობათა კონსერვაციის ცენტრი „ნაკრესი“, დათვის კონსერვაცია საქართველოში, თბილისი.

**ნაკრესი 2007** – სახეობათა კონსერვაციის ცენტრი „ნაკრესი“, წლიური ანგარიში, თბილისი.

**ფრიში 2010** – მაქს ფრიში, ვიქნები თუნდაც განტენზიანი (Homo faber, ვიქნები თუნდაც განტენზიანი), დ. ფანჯიკიძის თარგმანი, თბილისი.

**ფილმ.** – ფილმები მშობლიურ ენაზე (ვებგვერდი), [www.kinotop.ge](http://www.kinotop.ge)

**ქართული ენის კორპუსი** – ქართული ენის კორპუსი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, [www.corpora.iliauni.edu.ge](http://www.corpora.iliauni.edu.ge)

**ჩოხელი** – გ. ჩოხელი, წერილი ნაძვებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ელექტრონული ბიბლიოთეკა: [www.buki.ge](http://www.buki.ge)

Tamar Sukhishvili

## On a Foreign Loanword Denoting Profession in Georgian

### Summary

The paper focuses on the use of the English loanword *ranger* in Georgian and discusses the question of the foreign borrowings into the Modern Georgian Language. *Ranger* is a polysemic English word meaning: forest guard, a member of a mounted troop or the police force, a commando or guerilla soldier. Georgian adopts the word first as a military term and afterwards the language adopts it again to substitute original *მეტყე-(ვ)-ე / თჳის-მტსველ-ი* (**forest specialist / forest guard**). As a result, we have semantic homonymy in Georgian derived from the polysemy of the loanword *ranger* in the source language.

But why this semantic homonymy occurs? Ignoring the existed terminological base seems to be a reason. It has to be mentioned that *ranger* (as a forest guard, a warden patrolling forest areas) has been artificially intruded into the official language and this fact is connected with Georgian Forestry Reform in 2007. The existence of the two

homonymic international terms denoting different jobs: **ranger** – **army man**, **ranger** – **forest guard**, does not match the conditions of borrowing the terms in Georgian. Homonymy generally appears to be an obstacle for the accuracy and precision of a term and the artificial intrusion is not recommended.